

მხატვრული შედარების თარგმნის სტრატეგიები ოთარ ჭილაძის რომანის
„გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“ ინგლისურენოვანი თარგმანის მიხედვით

ელისო ხორგუაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე უცხო ენათა ფილოლოგიის
(ანგლისტიკის) მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების
შესაბამისად*

უცხო ენათა ფილოლოგია (ანგლისტიკა) და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო მატარაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

როგორც წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების ან მკვლევარების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ ან გამოსაქვეყნებლად წარდგენილ ნაშრომებს, სტატიებს ან სხვა სახის მასალებს, რომლებიც სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისას არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების დაცვით.

ელისო ხორგუაშვილი

26.06.2019

სარჩევი

| | |
|--|-----------|
| აბსტრაქტი (ქართული | IV |
| აბსტრაქტი (ინგლისური) | VI |
| შესავალი | 7 |
| თავი 1. მხატვრული შედარება, როგორც ტროპული მეტყველების ერთ-ერთი სახე..... | 10 |
| 1.1 ტროპი, როგორც მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალება და მისი სახეები .10 | |
| 1.2 შედარება და მისი ტიპოლოგია..... | 12 |
| თავი 2. მხატვრული შედარების თარგმნის სტრატეგიები..... | 21 |
| 2.1 თარგმნის კვლევების დისციპლინად ჩამოყალიბების ძირითადი მომენტები ..21 | |
| 2.2. მხატვრული შედარების თარგმნის თავისებურებები..... | 29 |
| თავი 3. მხატვრული შედარების თარგმნის სტრატეგიების ანალიზი ოთარ ჭილაძის რომანის „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“ ინგლისურენოვან თარგმანზე დაყრდნობით...39 | 39 |
| 3.1 მხატვრული შედარება, როგორც ავტორის ინდივიდუალური სტილის ერთ-ერთი მახასიათებელი | 39 |
| 3.2 მხატვრული შედარების თარგმნის სტრატეგიები პიერინის მოდელის მიხედვით | 44 |
| დასკვნა..... | 53 |
| ბიბლიოგრაფია | 54 |

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი ეხება ლიტერატურულ ტექსტებში არსებული შედარებების თარგმნის პრობლემებს. ნაშრომში განხილულია განსხვავებული მიდგომები სამიზნე ენაზე შედარების, კერძოდ კი მხატვრული შედარების, გადატანის შესახებ. კვლევა ფოკუსირებულია შედარებებზე და საკითხის პრობლემატურობა განხილულია ოთარ ჭილამის რომანის „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“ და დონალდ რეიფილდის მიერ შესრულებული მისი ინგლისურენოვანი თარგმანის შედარებითი ანალიზის საფუძველზე.

მხატვრული შედარება, როგორც ყველაზე ხშირად გამოყენებული სტილისტური ხერხი, განხილულია სხვადასხვა პერსპექტივიდან. ნაშრომი მოიცავს შედარების ტიპების, მისი სტრუქტურის და ლიტერატურულ ტექსტში მისი ფუნქციის დეტალურ განხილვას. ასევე მიმოხილულია შედარების და სხვა გამომსახველობითი ხერხების, ძირითადად მეტაფორის, თარგმნის სხვადასხვა მოდელები. უფრო კონკრეტულად, ემპირიული მასალის ანალიზის თეორიულ ჩარჩოდ გამოყენებულია პატრიცია პიერინის მიერ შემოთავაზებული მოდელი, რომელიც მოიცავს ექვსს სტრატეგიას. ანალიზმა აჩვენა, რომ მთარგმნელმა გამოიყენა პიერინის შემოთავაზებული სტრატეგიების უმრავლესობა, მაგრამ სხვადასხვა სიხშირით. კვლევის შედეგმა ცხადყო, რომ ამა თუ იმ სტრატეგიის გამოყენებას შედარების ტიპი განსაზღვრავდა. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მთარგმნელი შეეცადა ჭილამის ორიგინალური სტილის შენარჩუნებას და მის რეპროდუცირებას თარგმანში.

კვლევის აქტუალობას ორი ურთიერთდაკავშირებული ფაქტორი განსაზღვრავს. პირველი, რომანის ინგლისური თარგმანი ჯერ ახალია და არ არის შესწავლილი ლინგვისტური და მთარგმნელობითი პერსპექტივებიდან. მეორეც, ჯერჯერობით მხოლოდ მცირე რაოდენობა არსებობს ისეთი კვლევებისა, რომლებიც ფოკუსირებულია შედარების, როგორც ტროპის დამოუკიდებელი სახეობის თარგმნასთან დაკავშირებულ გამოწვევებს.

საძიებო სიტყვები: მხატვრული შედარება, მეტაფორა, შედარების თარგმნის
სტრატეგიები.

**Translation of Poetic Simile in Literary Text (according to the English
Translation of Otar Chiladze’s Novel “A Man Was Going Down the Road”)**

Abstract

The present thesis deals with the problem of translation of similes included in literary texts. It examines different approaches to rendering similes, and poetic similes in particular, into a target language. The problem is examined on the basis of the comparative analysis of Otar Chiladze's novel *A Man was Going Down the Road* and its English translation by Donald Rayfield with a focus on similes.

Being one of the most frequently used figures of speech, simile is viewed from different perspectives. The thesis provides a detailed overview of different types of similes, their structure and function in literary texts. It contains an analysis of different models suggested for translating simile and other figures of speech, notably a metaphor. More specifically, a six-step model adopted by Patrizia Pierini for translating similes has been used as a theoretical framework for data analysis. The analysis has shown that the majority of the strategies suggested by Pierini has been employed by the translator, however with different frequency. It appears that the use of specific strategies was defined by the type of simile. The study has revealed the translator's attempt to keep and reproduce the original figurative writing style of Chiladze.

The relevance of the research is defined by two interrelated factors. First, the English translation of the novel is quite new and has not been examined from linguistic and translational perspectives. Secondly, it is important to highlight that there are only few research papers dedicated to the challenges associated with translation of simile as a separate element of figurative language.

Key Words: *Poetic Simile, Metaphor, Strategies for translation of simile;*